სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალების ნარჩენებისაგან გასუფთავების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი, 08 ივლისი 2014 წელი

კომისიის შემადგენლობა

კომისიის თავმჯდომარე

ნანა დოლიძე - სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

კომისიის წევრები:

ლამარა ანთაძე

ნუნუ ზარდიაშვილი

კომისიის აპარატის წევრები

მანანა გველუკაშვილი

ციცინო ჩუბინიძე

<u>დღის წესრიგი:</u>

სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალების ნარჩენებისაგან გასუფთავების სახელმწიფო შესყიდვისათვის კონკურსის საშუალებით საკონკურსო განცხადების პირობების, პირობების კრიტერიუმების, საკონკურსო წინადადების ვადების და მომწოდებელთან დასადები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალების ნარჩენებისაგან გასუფთავების სახელმწიფო შესყიდვისათვის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10^2 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს - კონკურსის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 10/02/2011 წლის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ #3 ბრძანების მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

სხდომაზე განიხილეს საკონკურსო განცხადების პროექტი (დანართი-1)

1. **შესყიდვის ღირებულება:** - ნულოვანია, რადგან სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლას არ გააჩნია 2014 წლის ბიუჯეტით დაფინანსების ფარგლებში სახსრები;

2. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ – „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტის“ შესაბამისად, განსაღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან - 4 თვის ვადით;

3. **განცხადების პირობები:**

კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი

1. კონკურსში მონაწილეობის საფასური „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ„ საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით;
2. საკონკურსო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი დალუქული კონვერტით, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითართან ერთად;
3. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს: საკვალიფიკაციო მონაცემებს, ინფორმაციას მომსახურების ვადის გაწევის შესახებ; ინფორმაციას კონკურსანტის გამოცდილების შესახებ.

4. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული კონვერტით 2014 წლის 1 ივლისიდან 7 ივლისის 12:00 საათამდე, მისამართზე: თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი #42, სსიპ ქალაქ თბილისის #166 საჯარო სკოლის შენობაში მე-3 სართულზე დროებით განთავსებულ სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის ადმინისტრაციაში, დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება.

5. **საკონკურსო წინადადება:**

   საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
   ა) საკონკურსო წინადადება
   ბ) რეკვიზიტები (დანართი 1)
   გ) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ
   დ) ინფორმაცია კონკურსანტის ფინანსური მდგრადობის შესახებ;
   ე) თანხმობას სკოლის შენობის კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, სკოლის შენობის საძირკვლებისა და მომიჯნავედ განლაგებული შენობა-ნაგებობების საძირკვლების შესწავლა, წინასაპროექტო დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენაზე;
   ვ) პრეტენდენტის მიერ სკოლის შენობის დემონტაჟისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
   ზ) სადემონტაჟო სამუშაოების ორ რიგად წარმოების: 1- მოსამზადებელი და 2- დემონტაჟის ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოების შესახებ გაწერილი გეგმა;
   თ) კონკურსანტის ფინანსური გარანტიის შესახებ.

   შენიშვნა: საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, წინააღმდეგ სემთხვევაში დოკუმენტი არ განიხილება.
6. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობა ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარდგენის სემთხვევაში, საკონკურსო კომისია მოახდენს ამ კონკურსანტის დიკვალიფიკაციას;
7. არარეზიდენტი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა იყოს დამოწმებული თავისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართულ ენაზე თარგმანი;
8. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:
   - საკონკურსო წინადადება - 0,4
   - კონკურსანტის გამოცდილება - 0,2
   - კონკურსანტის ტექნიკური ნაწილი - 0,2
   - კონკურსანტის ფინანსური ნაწილი - 0,2

   შეფასება ხორციელდება 10 ბალიანი სისტემით

9. გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის წინადადება, რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის სეფასებისას დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.
10. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს: სნდაწ 3.01.01-85*-„სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"; სნდაწ 1.04.-3-85-„მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"; სნდაწ-3-4-80*-„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში".
11. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანე 3 სამუშაო დღისა ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

დადგინდა:

1. დამტკიცდეს სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის დემონტაჟის და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალების ნარჩენებისაგან გასუფთავების სახელმწიფო შესყიდვისათვის კონკურსის საშუალებით საკონკურსო განცხადების პირობები, დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს კომისიის აპარატს სხდომის ოქმი და საკონკურსო განცხადება დასკანერებული სახით გაეგზავნოს გამოქვეყნებისათვის კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ მისამართზე - contest@procurement.gov.ge.

.

სხდომა გამოცხადდა დახურულად

კომისიის თავმჯდომარე

ნანა დოლიძე - სსიპ ქალაქ თბილისის #100 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

კომისიის წევრები:

ლამარა ანთაძე _____

ნუნუ ზარდიაშვილი _____

კომისიის აპარატის წევრები

მანანა გველუკაშვილი _____

ციცინო ჩუბინიძე _____